ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

ნიკო ჯავახიშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

თავად ჭავჭავაძეთა საგვარეულოს ისტორიიდან

ძირძველ ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა შორის საპატიო ადგილი ეკავათ ჭავჭავაძეებს, რომლებიც საქართველოს სამეფოს თავადები იყვნენ. ეს წარჩინებული გვარი სათავეს ძველი დროიდან იღებს.

ეტომოლოგიური თვალსაზრისით ამ გვარს საფუძვლად უდევს მომცრო ზომის ფრინველის, კერძოდ, ჭავჭავის ანუ იგივე ჭივჭავის აღმნიშვნელი ქართული დასახელება, რომელიც როგორც ჩანს, პატარა ტანის მამაკაცის სახელად ანდა მეტსახელად გადაქცეულა.

სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) ლექსიკონში სიტყვა „ჭივჭავი“ (რომლის ვარიანტებია – „ჭივჭივი“ ან „ჭავჭავი“) განმარტებულია როგორც „ბელურა“.[1]

ინფორმაცია ამ საგვარეულოს შესახებ დაცულია ქართულ და უცხოენოვან საისტორიო წყაროებსა და გამოკვლევებში.

უფლისწულ ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონის (1696-1756) თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ჩამოთვლილ კახეთის 13 სათავადო გვარს შორის მეხუთე ადგილას დასახელებულია ჭავჭავაძეების საგვარეულო, რომელიც ავტორის განმარტებით, იყო ქართულ საგვარეულოთა შორის ერთ-ერთი „უწარჩინებულესი და შემძლებელი“.[2]

უფლისწულ იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის (1768-1830) თხზულებაში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ჩამოთვლილ კახეთის 24 სათავადო გვარს შო-

[1] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ. ტ. II. თბ. 1993, გვ. 402.

[2] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 35.

რის ჭავჭავაძეები დასახელებულნი არიან მეცამეტე ადგილას. მათი წარმომავლობის შესახებ ბატონიშვილი წერს: „არიან ორ გვარად. პირველნი, რომელნიცა სახლობენ გაღმა მხარს ყვარელსა შინა. იგინი არიან ძველადგანვე დროსა მეფესა ლეონისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1529. ესენი იყვნენ ადგილით და მუნ მოსახლენი თავადადვე და მერე გადმოსახლდენ ყვარელსა შინა და მუნ მისცა ადგილნი, რომელნიცა აწ არიან: 1) გლახას შვილები და ძმათა ამისისა, 2) მელქისედეგისა შვილები. ხოლო მეორე ჭავჭავაძენიც არიან მუნვე ადგილიდამ მოსრულნი, რომელნიც ამბობდენ მონათესაობასა მათსა. გარნა არა აქვნდათ მათთან მამულნი და ამათ მსახურეს ერეკლე მეფესა თუშეთს და ოდეს გამეფდა მეფე ირაკლი პირველ წელსა ქრისტეს აქეთ 1680-სა შემდგომად მსახურებისთვის დაასახლნა ადგილსა წინანდელსა და მიიღო აზნაურად. შემდგომად მეფემან თეიმურაზ აღიყვანა მცირე თავადის ხარისხსა შინა და უბოძა მცირე რამ ყმა და ზვარი სამეფო და უკანასკნელ უფრორე მეფემან მეორემან ირაკლიმ დაუმტკიცა ჭავჭავაძეობა და არიან მუნიდგან წოდებულნი, რომელნი პირველ იწოდებოდენ მამუჩის შვილებად და რომელიცა ახლაცა იწოდებიან მამუჩის შვილებად: 1) ივანეს შვილები, 2) ბერი ნაზირის შვილები და 3) გარსევანის შვილები და სხვანი“.[3]

ზემოხსენებულ ტექსტში აღნიშნულ „ადგილსა წინანდელსა“ უნდა იგულისხმებოდეს კახეთის სოფელი წინანდალი, სადაც ჭავჭავაძეთა ერთი შტო სახლობდა.

1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში გაფორმებულ ტრაქტატს დართულ ქართველ წარჩინებულთა სიაში ჭავჭავაძენი კახეთის 24 სათავადო გვარს შორის მეათე ადგილას იხსენიებიან.[4]

თავად ჭავჭავაძეთა საგვარეულოს და მისი გამოჩენილი წარმომადგენლების შესახებ არსებობს საყურადღებო ნაშრომები, რომელთა შორისაცაა: ქართული გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარის იური ჩიქოვანის მიერ შედგენილი გენეალოგიური ნუსხები,[5] ასევე, გამოკვლე-

[3] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის). ზ. კაცელაშვილის გამოცემა. თბ. 1997, გვ. 43-44.

[4] გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა. შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ. თბ. 1983, გვ. 58.

[5] ი. ჩიქოვანი. თავადი ჭავჭავაძეები. თბ. 2002, გვ. 9-63; С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV. Князья Царства Грузинского. Под редакцией С. Думин и Ю. Чиковани. Москва. 1998, გვ. 234-246.

ვები, რომელთა ავტორებიც არიან: ზურაბ ცქიტიშვილი,[6] გურამ შარაძე,[7] იოსებ ბიჭიკაშვილი,[8] როლანდ თოფჩიშვილი[9] და წინამდებარე სტატიის ავტორი.[10]

საგვარეულო გადმოცემით, ჭავჭავაძეთა წარმომავლობა დაკავშირებულია კახეთის მთიანეთთან, კერძოდ, ერწო-თიანეთთან. აქვე უნდა ითქვას, რომ თავადი ჭავჭავაძენი ყმა-მამულს ფლობდნენ როგორც ერწოში, ანუ თანამედროვე თიანეთის რაიონში, ასევე კახეთის სხვა ნაწილებშიც, კერძოდ, ამჟამინდელ თელავის, ყვარლისა და ახმეტის რაიონებში.

ჭავჭავაძეთა მამულებს ესაზღვრებოდა თავადების: მაყაშვილების (დასავლეთიდან), ჯანდიერების (სამხრეთიდან), გურგენიძეებისა და ჯორჯაძეების (ჩრდილოეთიდან) მამულები. აღმოსავლეთიდან ჭავჭავაძეთა მამულებს ქიზიყის სამოურავო ემიჯნებოდა.

თავად ჭავჭავაძეთა გვარი ორ შტოდ იყოფოდა. მათი საერთო წინაპარი იყო როშნია ჭავჭავაძე, რომელიც საისტორიო წყაროებში 1470 წელს იხსენიება.

ჭავჭავაძეთა ერთი შტოს რეზიდენცია მდებარეობდა ყვარელში, ხოლო მეორისა – წინანდალში. ამ დასახლებულ პუნქტებში მდებარეობდა მათი სასახლეები, ციხე-სიმაგრენი და კარის ეკლესიები. ყვარლის ჭავჭავაძეთა საგვარეულო საძვალე იყო და დღემდე არის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც ყვარელშივე მდებარეობს. ჭავჭავაძეების წინანდლის შტოს საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა თელავის დასავლეთით მდებარე შუამთის მონასტერი („ახალი შუამთა“).

საქართველოს სათავეში ათასწლეულის განმავლობაში მდგარი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიისადმი ერთგულებითა და თავდადებით ტრა-

[6] ზ. ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. თბ. 1982.

[7] გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე (1837-1907). ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიანე ორ წიგნად. წიგნი I. თბ. 2002, გვ. 13-29.

[8] ი. ბიჭიკაშვილი. ისტორიული ნარკვევი თავად ჭავჭავაძეთა საგვარეულოს შესახებ. ჩართულია ი. ჩიქოვანის წიგნში – თავადი ჭავჭავაძეები. თბ. 2002, გვ. 4-8.

[9] რ. თოფჩიშვილი. ჭავჭავაძეთა და ბებურიშვილთა გვარების ისტორიისათვის. „ილიას კრებული“. ტომი II. თბ. 2004, გვ. 78-87; რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბ. 2021, გვ. 457-460.

[10] ნ. ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძის საგვარეულოს ისტორიიდან, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ტ. XX. თბ. 2017, გვ. 13-23.

დიციულად გამორჩეული ამ გვარის ცალკეული წარმომადგენლები პატივით იხსენიებიან XV-XVIII საუკუნეთა საისტორიო წყაროებში. ყოველივე ამის გამო, ჭავჭავაძეებს ბაგრატოვანი ხელმწიფენიც სწყალობდნენ.

ჩვენამდე მოღწეულ ქართულ საისტორიო წყაროებში ჭავჭავაძეები ყველაზე ადრე XV საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან იხსენიებიან. სწორედ ამ პერიოდითაა დათარიღებული დოკუმენტი, რომელშიც პირველად იხსენიება აღნიშნული გვარის წარმომადგენელი ფაროდი ჭავჭავაძე.

საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის (მეფობდა 1412-1442 წლებში) მიერ 1438 წელს გაცემული სიგელით, ფაროდი ჭავჭავაძესა და მცხეთა-გარეჯას შორის სამამულე ცილობის დროს ნიწობლისძისეული და ოქროპირისშვილის მამულების საქმეები უნდა გადაწყვეტილიყო მცხეთის და გარეჯის სამართლის მიხედვით.[11]

საისტორიო წყაროებში მოხსენიებული ჭავჭავაძეთა გვარის მომდევნო წარმომადგენელია კათოლიკოს-პატრიარქი დავით IV. ამ თანამდებობაზე ის მოღვაწეობდა XV საუკუნის შუა ხანებში, კერძოდ, ერთი ცნობის თანახმად – 1442-1459 წლებში,[12] ხოლო მეორე ცნობით – 1443-1459 წლებში.[13]

კათოლიკოს-პატრიარქი დავით IV იხსენიება ერთიანი საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის (მეფობდა 1446-1466 წლებში საქართველოში, ხოლო 1466-1476 წლებში – კახეთში) ბრძანებით 1447 წლის დეკემბერში შედგენილ საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში. ამ დოკუმენტით მეფემ დაამტკიცა თავისი მამის, ალექსანდრე I-ის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებული სიგელი, რომლითაც ამ ტაძრის კუთვნილი მამულები გადასახადებისაგან თავისუფლდებოდნენ.

ზემოხსენებული ბაგრატოვანი ხელმწიფე ასე მიმართავდა კათოლიკოს-პატრიარქ დავით IV-ს: „და აჰა თქუენ, წმინდაო მღვდელთ-მთავართ მთავარო, პატიოსანო და მიმსგავსებულო და თანამერაბამეო წმიდათა მღდელთ-მოძღუართა ბასილი და გრიგოლისო, ქართლისა კათალი-

[11] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. I. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. თბ. 1991, გვ. 215.

[12] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. II. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ. თბ. 1993, გვ. 13.

[13] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. ავტორთა კოლექტიური ნაშრომი. რ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 2000, გვ. 74.

კოზო დავით, რაგუარაცა ჩუენგან ასრე დამტკიცებულსა და განთავისუფლებულსა მართებს, ეგრეთ მვედრებელ იქმენ ღმრთისა მიმართ მოსატევებლად ცოდვათა ჩუენთა და ნუმცა დავიწყებულ ვიქმნებით ლოცვათა და ვედრებათა შინა თქუენთა“.[14]

1454 წლის 10 იანვრით დათარიღებული დოკუმენტის „კულუხის გამოსაღების წიგნი დავით კათალიკოზისა მეკულუხე ჯუარის მსახლობელთადმი“ ბოლოს დართულ დამტკიცებაში ვკითხულობთ: „ჩუენ ქრისტეს ღმრთისა მიერ ქართლისა კათალიკოზი ჭავჭავაძე დავით ვამტკიცებთ“.[15]

ჭავჭავაძეთა საგვარეულო დროთა განმავლობაში თანდათანობით ძლიერდებოდა. ამ გვარის წარმომადგენლებს სხვადასხვა დროს ეპყრათ: სახლთუხუცესის, მოლარეთუხუცესის, მეჯინიბეთუხუცესის, სუფრაჯისა და სხვა მაღალი თანამდებობები.

საისტორიო წყაროებში იხსენიებიან ამ გვარის შემდეგი წარმომადგენლები: როშნიას ვაჟები: ზაალი, დასტანი, მანუჩარი და გიორგი (1517 წლის საბუთში); გიორგის ვაჟები – გარსევანი და ბეჟანი (1517 წლის შემდგომ გაცემულ საბუთში); გარსევანი (1584 წლის საბუთში); სახლთუხუცესი იასონი (1590 წლის საბუთში); მოლარეთუხუცესი მამუკა (1639-1651 წლებით დათარიღებულ საბუთში); სულხან მამუჩის ძე (XVII საუკუნის შუა ხანებით დათარიღებულ საბუთში) მამუჩი და მისი შვილები – დათუნა და რამაზი, მამუჩის ძმისწულები – გიორგი და გულბაათი, განაყოფები – იასონი და სეფედავლე (1682 წლის საბუთში)[16] და სხვ.

ჭავჭავაძეები მეფისა და სამშობლოს მიმართ განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ამის თაობაზე ინფორმაცია დაცულია როგორც საისტორიო წყაროებში, ასევე ფოლკლორსა და ლიტერატურაშიც.

ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა წინანდლელი მამუკა ჭავჭავაძის შესახებ დაწერილი ლექსი, რომელშიც გადმოცემულია მისი შებრძოლება კახეთში შემოჭრილ დაღესტნელთა ლაშქართან და სიკვდილი.[17]

[14] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 74.

[15] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1985, გვ. 196.

[16] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. V. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, ნ. მშვიდობაძემ, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ. ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მ. სურგულაძემ. თბ. 2015, გვ. 327-328.

[17] ხალხური პოეზია. შეკრებილი ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ. თბ. 1934, გვ. 241.

არსებობს ვარაუდი, რომ ეს პიროვნება შესაძლოა ყოფილიყო ზემოხსენებული მოლარეთუხუცესი მამუკა ჭავჭავაძე,[18] რომელიც XVI საუკუნის შუა ხანებში მოღვაწეობდა და იხსენიება იმდროინდელ საბუთში.[19]

მეფე არჩილ II-ის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ იხსენიება მეფე თეიმურაზ I-ის თანამედროვე თავადი – გარსევან გულბაათის ძე ჭავჭავაძე, რომელმაც თავი ისახელა დაღესტნელებთან ბრძოლაში.[20]

1726 წელს კახეთის მეფე კონსტანტინე II-მ (მაჰმად-ყული-ხანმა) გიორგი და გარსევან ჭავჭავაძეებს უბოძა წყალობის გუჯარი, რომელშიც ვკითხულობთ: „სიგელი გაგიახლეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა დიდათ ერთგულთა და მრავალჯერ ჩვენთვის თავდადებით გარჯილთა, ჭავჭავაძეს, სუფრაჯს გიორგის და მეჯინიბეთუხუცესს გარსევანს, ძმათა თქვენსა მამუჩის, მამუკას და მერაბს და სულხანს, რამაზს, რევაზს და ბიძინას...“.[21]

მეფემ ჭავჭავაძეებს განუახლა წყალობა იმ მამულებისა, რომლებიც მათ სამკვიდროდ და სამოურავოდ ჰქონდათ. ეს მამულები მდებარეობდა კახეთის სოფლებში: წინანდალში, ქვემო ხოდაშენში, შალაურში, ახტალაში, ურიათუბანში (ამჟამად – ვაზისუბანი), მუკუზანში, ველისციხეში, შილდაში, ენისელსა და სხვ.

ამ სიგელში მოხსენიებული გარსევანი იყო პაპა, ხოლო რევაზი – მამა თავად გარსევან ჭავჭავაძისა (1757-1811), რომელიც იმავე საუკუნის ბოლო ოცწლეულში სანკტ-პეტერბურგში ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩად მოღვაწეობდა. მის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

მეფე თეიმურაზ II-მ (1700-1762), რომელიც ჯერ კახეთში მეფობდა, ხოლო შემდეგ ქართლში, ზემოხსენებულ თავად სულხან ჭავჭავაძეს ერთგული სამსახურისათვის უბოძა ეშიკაღასბაშობა და მისი განაყოფის პაატა იასონის ძე ჭავჭავაძის „ნაქონი სოფელი წინანდალი თავისი მსახლო-

[18] ი. ბიჭიკაშვილი. ისტორიული ნარკვევი თავად ჭავჭავაძეთა საგვარეულოს შესახებ. ჩართულია ი. ჩიქოვანის წიგნში - თავადი ჭავჭავაძეები. თბ. 2002, გვ. 6.

[19] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1940, გვ. 360.

[20] არჩილი. თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი, საძიებელი და გამოკვლევა დაურთეს: ივანე ლოლაშვილმა, ლიანა კეკელიძემ, ლალი ძოწენიძემ. თბ. 1999, გვ. 310-311.

[21] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი 1450, აღწერა 11, საქმე 12, ფურცელი 15.

ბელის გლეხითა, მთითა, ბარითა, ხოდაბუნითა, მარნითა“.[22]

1747 წლის 17 სექტემბერს მეფე ერეკლე II-მ (1720-1798), რომელიც ჯერ კახეთში მეფობდა, ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთში, ჭავჭავაძეებს უბოძა წყალობის გუჯარი, რომელშიც ვკითხულობთ: „სიგლითა დაგიმტკიცეთ თქვენ, მრავალფერად თავდადებულს და ჩვენსა სამსახურსა შინა ნიადაგ მზადყოფსა და ერთგულება დაჯერებულს და ჩვენსა სამსახურსა შინა ნიადაგ მზადყოფასა და ერთგულება დაჯერებულს და ყმათა ჭავჭავაძეს, ეშიკაღასბაშს სულხანს, ძმასა შენსა რევაზს, ბიძაშვილსა შენსა ზურაბს, ზაალს და ბერსა, ამად რომე ბიძისა ჩვენისა მეფი კონსტანტინეს აღზრდილი იყავ და ჭირნახულ დადებული და ოდეს ამაღლებულმან ერანის ხელმწიფემან მამაჩვენი ღვთივცხებული მეფეთა-მეფე თეიმურაზ წინაშე მოუწოდა და თანა წარიტანა და უცხოთა თემთა და ქვეყანათა ყანდაარისათა შინა ჯეროვანის სამსახურისთა და სრულისა გულითა მსახურე, ვითარცა შეჰგავს მონასა უფლისათვის სიკვდილს სულისა დამდებელსა და ოდეს ინდოთა ქვეყანათა დაპყრობად მოინება და ჩვენ მოგვიწოდა ერანისა ხელმწიფემან... მეფესა და მამასა ჩვენსა და ჩვენ ორთავე კვალად უმეტესად გვემსახურე და გარდამეტე და წარმოგავლინეთ ქართულად საქმისა რასმე განსაკარგავად და მუნვე ჩვენდა მოწინავე და კვალად რაიცა სახვაშიადო ანუ საზენარო საქმე იქმნებოდა შენვე წარგავლენდით მასვე ხელმწიფესა თანა განზრახვისა ჩვენისა მისანდობელსა“.[23]

1750 წლის 1 სექტემბერს მეფე ერეკლე II-მ ჭავჭავაძეებს წინანდლის ზვარი უწყალობა. შესაბამის წყალობის სიგელში მეფე ასე მიმართავდა ეშიკაღასბაშ სულხანს: „რადგან შენმა ძმამ, მილახვარმა რევაზმა ბატონს მამაჩვენს კიდემ დიდს გაჭირვებაში დიდათ ემსახურა, ჩვენს კიდემ იმ წინანდლის ზვარი ისევ თქვენ გიბოძეთ. ღმერთმა ჩვენს ერთგულებაში მოგახმაროს“.[24]

ამ სიგელიდან ირკვევა, რომ ეშიკაღასბაშ სულხან ჭავჭავაძის ძმას – რევაზ ჭავჭავაძეს – მილახვრის თანამდებობაზე უმსახურია.

რევაზ და სულხან გარსევანის ძე ჭავჭავაძენი მსახურობდნენ ყაზახის მოურავებად, საიდანაც ფულადი შემოსავალი გააჩნდათ. რევაზის გარდაცვალების შემდეგ, მისი მცირეწლოვანი ვაჟის – გარსევანის აღზრდა მეფე ერეკლე II-მ ითავა. მან გარსევანს თბილისში მდებარე ბეით-

[22] სეაცსა. ფონდი 1450, აღწერა 11, საქმე 10, ფურცელი 12.
[23] სეაცსა. ფონდი 1450, აღწერა 11, საქმე 12, ფურცელი 11.
[24] სეაცსა. ფონდი 1450, აღწერა 11, საქმე 12, ფურცელი 11.

ალმანის სახლი უბოძა.[25]

უფლისწული ბაგრატ გიორგის ძე ბაგრატიონი (1776-1841) თავის თხზულებაში „ახალი მოთხრობა“ გარსევანის შესახებ გვაუწყებს: „ჭავჭავაძე იყო კახი თავადი, რომელსაც მამუჩიშვილად უხმობდნენ და აღეზარდა ობოლი მეფესა ირაკლის ვითარცა ძე“.[26]

1783 წლის 23 იანვარს მეფე ერეკლე II-ის მიერ გაცემულ წყალობის სიგელში ვკითხულობთ: „გიბოძეთ შენ, ჩვენს დიდად და მრავალსახედ ერთგულს და ჩვენის მორჭმა-დიდებისათვის დიდად მომჭირნეს და მცველს, ჩვენს საფარველ ქვეშ პატივით აღზრდილს ჭავჭავაძეს ეშიკაღასბაშს გარსევანს“.[27]

ერეკლე II-ის დიდ ნდობაზე გარსევანის მიმართ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თავის საგანგებო და სრულუფლებიან დიპლომატიურ წარმომადგენლად რუსეთში სწორედ ის მიავლინა. გარსევანი ამ თანამდებობაზე გიორგი XII-ის (1746-1800) მეფობის პერიოდშიც (1798-1800 წლები) მოღვაწეობდა. იმავდროულად, გარსევანი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართლ-კახეთის სამეფოშიც. კერძოდ, ის იყო ეშიკაღასბაში, ყაზახისა და ბორჩალოს მოურავი.[28]

ერეკლე II-მ გარსევანს უმნიშვნელოვანესი მისია მიანდო. მან იოანე ბაგრატიონ-მუხრანბატონთან ერთად ხელი მოაწერა 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში შევიდა.[29]

გარსევან ჭავჭავაძეს ვაჟი – სანკტ-პეტერბურგში დაბადებული ალექსანდრე (1786-1846) მოუნათლა თვით რუსეთის იმპერატრიცამ ეკატერინე II-მ.

ალექსანდრე ჭავჭავაძე შემდგომში გახდა გენერალ-ლეიტენანტი, მრავალი საპატიო საბრძოლო ჯილდოს კავალერი და იმავდროულად დიდი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი.

1755 წელს ყვარლის ციხის დაცვისათვის ხუნძეთის ნუცალ ნურსალ-ბეგთან და მის მრავალრიცხოვან ლაშქართან მომხდარ ბრძოლაში

[25] ზ. ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, გვ. 47-48.
[26] ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. თბ. 1941, გვ. 77.
[27] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). ფონდი Sd, საბუთი 1167.
[28] ზ. ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, გვ. 48.
[29] გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ, გვ. 56.

თავი გამოიჩინა ჭავჭავაძეთა ყვარლის შტოს წარმომადგენელმა – ბესპაზ ფარემუზის ძე ჭავჭავაძემ, რომელიც იყო პაპის მამა დიდი ილია ჭავჭავაძისა. ამის შესახებ აღნიშნულია თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის სიგელში, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ალყის დროს ყვარლის ციხის გარნიზონს მეთაურობდნენ მელქისედეკ და ბესპაზ ჭავჭავაძეები და დავით ვაჩნაძე, რომლებმაც „თავი საყათლანეთ გადადვეს; ოცდასამი დღე ლომსავით იბრძოლეს“.[30]

ხსენებული ბრძოლა აღწერილია გრიგოლ ორბელიანის პოემაში „სადღეგრძელო“, რომელშიც ვკითხულობთ:

„მთლად დაღისტანი მოაწვა გასაოხრებლად ყვარლისა!
ოცდარვა დღეა, რაც ისმის ხმა ომის შეუწყვეტლისა!
გაჭირდა.....ციხე მისუსტდა... სად არის ხელი მხსნელისა?..
გაჩნდნენ... დაჰკივლეს... ხმალ და ხმალ შუა გააპეს ლეკთ ძალი
და გამოიხსნეს მბრწყინავი კახეთის თვალი ყვარელი!“[31]

აქვე დავძენთ, რომ ზემოხსენებული როშნია ჭავჭავაძე არის ჩვენთვის ცნობილი უძველესი წინაპარი დიდი ქართველი მწერლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერისა – ილია ჭავჭავაძისა (1837-1907). მისი გენეალოგიური ხაზი ასე გამოიყურება: როშნია (იხსენიება 1470 წელს) – გიორგი (იხსენიება 1517-1529 წლებში) – გარსევანი (იხსენიება 1540-1584 წლებში) – იასონი (იხსენიება 1590 წელს) – მამუკა (იხსენიება 1639-1655 წლებში) – ფარემუზი (იხსენიება 1642-1682 წლებში) – ბესპაზი (იხსენიება 1755-1777 წლებში) – პაატა (1771-1825) – გრიგოლი (1811-1852) – ილია (1837-1907).[32]

ილია ჭავჭავაძის პაპა – პაატა ბესპაზის ძე ჭავჭავაძე აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლაში, რომელშიც გამარჯვებულმა სოლომონ II-მ მეორედ დაიბრუნა იმერეთის სამეფო ტახტი და მეფედყოფილი დავით II საბოლოოდ დაამარცხა.

პლატონ იოსელიანის ცნობით, ერეკლე II-მ პაატა ჭავჭავაძეს დაავალა „გამოყვანა 900 ლეკისა და სარდლობაცა იმერეთისაკენ მუნ მისრულთა ლეკთა, შესაწევნელად ქართველთა ჯარისა, ოდეს დასვეს მეფედ

[30] საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა. თბ. 1980, გვ. 106.
[31] გრიგოლ ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული აკაკი გაწერელიას და ჯუმბერ ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბ. 1959, გვ. 95-96.
[32] ი. ჩიქოვანი. თავადი ჭავჭავაძეები, გვ. 9-63; С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV. Князья Царства Грузинского, გვ. 234-246.

სოლომონ“.[33]

ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-მ პაატა ჭავჭავაძეს უბოძა „ხუთასის თავობა“ გაღმამხრისა, ბახტრიონიდან – გავაზამდე. 1800 წლის 13 აპრილით დათარიღებულ წყალობის სიგელში ვკითხულობთ: „მეფე გიორგი, სურს რა დაგამწყალობლოს შენ, ჩვენი ერთგული კაცის შვილი და ჩვენი ერთგული თავადი პაატა ჭავჭავაძე, გიბოძებს შენ ხუთასისთავობას გაღმამხარს, დაწყებული ბახტრიონიდან გავაზამდე... ეცადე ერთგულად გვემსახურო. სანაცვლოდ ჩვენგან წყალობას ელოდე. როცა ჯარი დაგვჭირდება, შენ უნდა გამოიყვანო და განაგო“.[34]

აღსანიშნავია, რომ დიდი ილიას პაპამ – პაატა ჭავჭავაძემ ბოლომდე უერთგულა გიორგი XII-ს.

პლატონ იოსელიანის თქმით, „დიდად ერთგულნი შერჩნენ მეფესა იოანე ჯანდიერიშვილი... შემდეგ მისსა იყვნენ ერთგულადვე და თავგამოდებულად პაატა ჭავჭავაძე და სვიმონ ჯანდიერიშვილი“.[35]

XIX საუკუნის ოციან წლებში პაატა ჭავჭავაძე დაიღუპა ლეკებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობით. პაატას ცოლად ჰყავდა მარიამ (პელაგია) მელქისედეკის ასული ანდრონიკაშვილი (1771-1830), რომელთანაც შეეძინა შვილები: მაკრინე (1792-1872), მიხეილი, სვიმონი (1802-1827), ალექსანდრე (1808-1838), გრიგოლი (1811-1852), გარსევანი (1816-1847), იოსები (1818-1828). მათგან მეხუთე შვილი – გრიგოლი იყო მამა ილია ჭავჭავაძისა.[36]

გრიგოლ ჭავჭავაძის მიერ კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვისადმი 1848 წლის 30 იანვარს წარდგენილ მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ: „ჩემი ოთხი ღვიძლი ძმა, მამის მაგალითისამებრ, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცა: მიხეილი მოკლულ იქნა კახეთის სოფელ გავაზზე ლეკების თავდასხმის დროს; სვიმონი, რომელიც შტაბს-კაპიტანის ჩინით მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში, მოკლეს სპარსელებმა 1827 წელს ასეულთან ერთად გამაგრებული პოზიციის დაცვისას; პრაპორშჩიკი ალექსანდრე მოკლეს 1838 წელს დაღესტანში გენერალ-ლეიტენანტ ფეზის რაზმში; შტაბს-კაპიტანი გარსევანი კი, რომელიც მეთაურობდა კავკასიის მე-2 მესანგრეთა ასეულს, დაიღუპა 1847 წელს გერგე-

[33] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფ. 1936, გვ. 263.
[34] სეაცსა. ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 106, ფურცელი 2.
[35] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 50.
[36] ი. ჩიქოვანი. თავადი ჭავჭავაძეები, გვ. 30-31.

ბილზე იერიშის დროს, რომელსაც პირადად თქვენი ბრწყინვალება სარდლობდა“.

1845 წლის 24 მაისს გრიგოლ ჭავჭავაძე დანიშნეს კახეთის 1000-კაციანი მილიციის უფროსად. მან მონაწილეობა მიიღო დიდოეთის დალაშქვრაში, რისთვისაც შტაბს-კაპიტნის წოდება მიიღო. იგი დაჯილდოებული იყო წმ. ანას IV, III და II ხარისხის ორდენებითა და ვერცხლის მედლით რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომში მონაწილეობისათვის.[37]

თადარიგში გასვლის მიუხედავად, გრიგოლ ჭავჭავაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ყვარელში 1850 წლის 14 ივლისს შემოჭრილ დაღესტნელთა ლაშქრის დამარცხებასა და განდევნაში.[38]

აქვე დავსძენთ, რომ ილია ჭავჭავაძის ბებიის (მამის დედის) – მარიამ (პელაგია) ანდრონიკაშვილის უფროსი ძმა – იოსები (1765-1830) იყო ქიზიყის მოურავი, ხოლო უმცროსმა ძმამ – მალხაზ ანდრონიკაშვილი (1773-1822) ბოლომდე უერთგულა ოსმალეთში გადახვეწილ მეფე სოლომონ II-ს. მალხაზს ცოლად ჰყავდა ამ მეფის და – მარიამი (1775-1854). მათი ვაჟი იყო კავალერიის გენერალი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი (1796-1868).[39]

რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ დამტკიცებულ ქართველ თავადაზნაურთა ნუსხაში თავადი ჭავჭავაძენიც შედიოდნენ.[40]

ჭავჭავაძეთა გვარიდან გამოვიდა რუსეთის იმპერიის მრავალი სახელოვანი ოფიცერი, რომელთა შორისაც ზემოხსენებული ალექსანდრე გარსევანის ძის გარდა, გენერლის წოდება მინიჭებული ჰქონდათ (ჩამოვთვლით ქრონოლოგიური თანამიმდევრობით): იასონ ივანეს ძეს (1804-1857), სპირიდონ ივანეს ძეს (1809-1872), დავით ალექსანდრეს ძეს (1818-1884), ზაქარია გულბაათის ძეს (1824-1905), ივანე სულხანის ძეს (1826-1913), ნიკოლოზ ზურაბის ძეს (1830-1897), არჩილ გულბაათის ძეს (1841-1902), მიხეილ სპირიდონის ძეს (1844-1910), ნიკოლოზ მიხეილის (მელქისედეკის) ძეს (1867-1920), ალექსანდრე ზაქარიას ძეს (1870-1930) და სპირიდონ მიხეილის ძეს (1878-1952).[41]

---

[37] გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე (1837-1907), გვ. 19-28.

[38] ა. ბაქრაძე. ილია ჭავჭავაძე (გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება). თბ. 1984, გვ. 11.

[39] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV. Князья Царства Грузинского, გვ. 122.

[40] ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა ზ. ჭუმბურიძის რედაქციით. თბ. 2005, გვ. 239-240.

[41] Н. Джавахишвили. Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.). Тб. 2003, გვ. 157-160.

რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, ზემოხსენებული ბოლო ორი გენერალი, ჭავჭავაძეთა წინანდლის შტოს წარმომადგენლები – ალექსანდრე და სპირიდონ ჭავჭავაძეები მსახურობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში. სამწუხაროდ, მათი სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა.

გენერალ-მაიორი ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო ვაჟი კავალერიის გენერლისა ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძისა და შვილიშვილი თავად გულბაათ იოანეს ძე ჭავჭავაძისა (1796-1863), რომელიც სახელგანთქმულ თამადად ითვლებოდა. ალექსანდრე ხელმძღვანელობდა ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ საქართველოში მოქმედ ერთ-ერთ ჯგუფს. 1930 წელს ის დააპატიმრეს და დახვრიტეს, როგორც ხელმძღვანელი არალეგალური პოლიტიკური დაჯგუფებისა, რომელიც გეგმავდა შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით.[42]

აქვე დავსძენთ, რომ მისმა ვაჟმა, ემიგრაციაში მყოფმა პავლე ჭავჭავაძემ (1899-1971) 1922 წელს ლონდონში ცოლად შეირთო რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილთაშვილი – ნინა რომანოვა (1901-1974), რომლის მამაც იყო დიდი მთავარი, გენერალ-ადიუტანტი გიორგი მიხეილის ძე რომანოვი (1863-1919). პავლე და ნინა ჭავჭავაძეები თავიანთ ერთადერთ ვაჟთან – დავითთან (1924-2014) ერთად 1927 წლიდან ლონდონიდან აშშ-ში გადასახლდნენ. დავით ჭავჭავაძემ იელის უნივერსიტეტი დაამთავრა. აშშ-ის არმიის ოფიცრის რანგში იბრძოდა II მსოფლიო ომში, სადაც არაერთი ჯილდო დაიმსახურა. მონაწილეობდა ლენდ-ლიზის პროგრამაში, რომლითაც აშშ-ის ხელისუფლება სსრ კავშირს სამხედრო ტექნიკით ამარაგებდა. ომის დასრულების შემდეგ ბერლინში სამხედრო თარჯიმნად მუშაობდა. ცხოვრობდა ვაშინგტონში. მსახურობდა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი რუსეთის დიდი მთავრების (რომანოვების) შესახებ.[43]

გენერალ-მაიორი სპირიდონ მიხეილის ძე ჭავჭავაძე იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი 1924 წელს საქართველოში მომხდარი სახალხო აჯანყებისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო. იმავე წლის სექტემბერში, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან და მისი ხელმძღვანელობით მოქმე-

[42] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. საარქივო №3001. ტ. 1/11. ყუთი №1.

[43] ნ. ჯავახიშვილი. ქართველთა ქორწინებანი რომანოვთა დინასტიის წარმომადგენლებზე. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ტ. 3. თბ. 2008, გვ. 173-174.

დი შეფიცულთა რაზმის წევრებთან ერთად ემიგრაციაში გაიხიზნა.[44] 1947 წელს ის ქართველ ემიგრანტთა ნაწილთან ერთად დაბრუნდა საქართველოში, თუმცა მალევე დააპატიმრეს და გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა.

თავად ჭავჭავაძეთა ყვარლის შტოს წარმომადგენლები იყვნენ ცნობილი ფილოსოფოსი, აკადემიკოსი ნიკოლოზ (ნიკო) ზურაბის ძე ჭავჭავაძე (1923-1997) და მისი ვაჟი – ზურაბ ჭავჭავაძე (1953-1989), საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

ამრიგად, თავად ჭავჭავაძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები საქართველოს ისტორიაში ტრადიციულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

[44] Н. Джавахишвили. Борьба за свободу Кавказа (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX века). Тб. 2005, გვ. 69.

Niko Javakhishvili
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

FROM THE HISTORY OF THE CHAVCHAVADZE'S PRINCELY FAMILY

Summary

In the historical sources of XVI-XIX centuries, the princes Chavchavadze's were named as the faithful warriors and administrators, specifically, community governors (in Georgian – *"Mouravi")* of Georgian kings, from the royal dynasty of Bagrationi.

According to family tradition, the origin of the Chavchavadze family is associated with the highlands of Kakheti, specifically with the Ertso-Tianeti region. It should also be noted that the noble Chavchavadze family owned estates both in Ertso, which is in the contemporary Tianeti district, and in other parts of Kakheti, namely in the present-day districts of Telavi, Kvareli, and Akhmeta.

The estates of the prince Chavchavadze family bordered the estates of the nobility: prince Makashvili (from the west), prince Jandieri (from the south), prince Gurgenidze, and prince Jorjadze (from the north). To the east, the prince Chavchavadze estates adjoined the royal fief of Kiziki (East part of Kakheti).

The Chavchavadze family itself was divided into two branches. Their common ancestor was Roshniya Chavchavadze, who is mentioned in historical sources in 1470.

One branch of the Chavchavadzes resided in Kvareli, while the other was in Tsinandali. In these settlements were located their palaces, fortresses, and family churches. The family necropolis of the Chavchavadzes of Kvareli is, to this day, the Church of St. John the Baptist, which is also located in Kvareli. The family necropolis of the Tsinandali branch of the Chavchavadzes was represented by the Shuamta Monastery, located near Telavi (Akhali Shuamta).

On July 24, 1783, in the list of Georgian nobles who signed the Treaty of Georgievsk, the Chavchavadze family is mentioned as the tenth prominent house among the 24 princely families of Kakheti.

For such loyalty to the kings the Chavchavadze's were highly appreciated by Georgian kings from the royal dynasty of Bagrationi.